გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის სასამართლოში

© გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP), 2010
Copyright © UNDP, 2010
ყველა უფლება დაცულია
დამზადებულია საქართველოში
All Rights Reserved
Manufactured in Georgia

გამოცემა მომზადებულია პროექტის “სასამართლო ხელი-სუფლების მხარდაჭერა” ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს უზენაესი სასამართლო.
გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაერთიანებული ერების ან გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

Published by United Nations Development Programme Georgia (UNDP) and Supreme court of Georgia within the frame of the project “Support to Justice System”.
The views expressed in this publication are those of the authors and don`t necessarily represent those of the United Nations or UNDP.

UNDP

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA

წიგნზე მუშაობდნენ
თამარ კაციტაძე, ხათუნა ჯანგირაშვილი,
ვლადიმერ მკერვალიშვილი

The book is prepeared by
Tamar Katsitadze , Khatuna Jangirashvili, Vladimer Mkervalishvili

რედაქტორები
ინგა ალავიძე, ნანა ვასაძე

Editorial Board
Inga Alavidze, Nana Vasadze

ტექნიკური რედაქტორი
თენგიზ ქირია

ექსპერტი
ზაზა მეიშვილი

Experts
Zaza Meishvili

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთ პროფესიულ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს სასამართლო დარბაზებში, საზოგადოების თვალსა და ყურს წარმოადგენენ. რა ხდება სასამართლო დარბაზებში ნამდვილად არის საზოგადოების ინტერესის საგანი. ეს ინტერესი განსაკუთრებით დიდია სისხლის სამართლის საქმეებზე. თუმცა უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად იმატა საზოგადოების ინტერესმა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების მიმართ. საზოგადოებას ასევე სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმები და სხვა პროცესები აინტერესებს.

სასამართლოს თითქმის ყველა დარბაზი და სასამართლო პროცესი ღიაა პრესისა და საზოგადოებისათვის. ყოველდღიურად ათეულობით ჟურნალისტი ესწრება და აკვირდება სხვადასხვა სასამართლო პროცესს, რათა მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია, რა ხდება საქართველოს სასამართლო დარბაზებში.

სხდომებზე დასწრების გარდა, ჟურნალისტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სასამართლო ჩანაწრებით და არქივით, მოამზადონ ღრმა და საფუძვლიანი ჟურნალისტური ნამუშევრები, სხვა თვალით და ახალ ჭრილში დაანახონ საზოგადოებას ის ძველი საქმეები, რომლებიც უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა.

წინამდებარე გზამკვლევი შეიქმნა ჟურნალისტების დასახმარებლად. გზამკვლევის მიზანია ჟურნალისტებმა უფრო მეტად სამართლიანად, ობიექტურად, კვალიფიციურად, სასამართლო პროცედურების დაცვითა და პროცესის მონაწილე მხარეების პატივისცემით შეძლონ სასამართლო სხდომების გაშუქება.

გზამკვლევი დაეხმარება მედიის წარმომადგენლებს უკეთ გაერკვნენ, როგორც საქართველოს სასამართლო სისტემის

სტრუქტურაში, ასევე სასამართლო პროცედურებსა და წესებში.

სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის ერთგვარად გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებს. სასამართლო რეპორტიორებს დაეხმარება სამართლებრივ საკითხებზე მოამზადონ კვალიფიციური და საინტერესო სიუჟეტები, სტატია თუ ინფორმაცია. ჟურნალისტები გაეცნობიან სტანდარტებს, თუ როგორ უნდა გაკეთდეს სასამართლო რეპორტაჟი, გაერკვევიან იმ პრობლემებისა და ერთგვარად სახიფათო მომენტების დაძლევაში, რომელიც სასამართლო ჟურნალისტიკას ახასიათებს.

გზამკვლევში ყოველი თავის შემდეგ, მეტი თვალსაჩინოებისათვის მოცემული იქნება პასუხები ჟურნალისტების მიერ ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე. ასევე, ჟურნალიტებს შეეძლებათ მიიღონ ყველა ის სასარგებლო რჩევა, ინფორმაცია და განმარტება, რაც მათ მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ყოველდღიურ საქმიანობაში.

გარდა საქართველოს კანონმდებლობისა გაეცნობიან საერთაშორისო კანონმდებლობას და დასავლეთის ქვეყნებში არსებულ იმ სტანდარტებს, რომლითაც მუშაობენ სასამართლო რეპორტიორები.

JVC

სასამართლო პროცესების გაშუქება

ნებისმიერ მოქალაქესა და ჟურნალისტს შეუძლია დაესწროს ნებისმიერ სასამართლო პროცესს და მოისმინოს საქმის განხილვა. თქვენ არ ხართ ვალდებული მისცეთ ვინმეს ახსნა-განმარტება, რატომ ესწრებით სასამართლო პროცესს და აკეთებთ ჩანაწერებს. უმჯობესია წინასწარ გაეცნოთ საქმეთა განხილვის განრიგს, რომლებიც გამოკრულია როგორც სასამართლოში, ასევე მისი ნახვა შეგიძლიათ სასამართლოების ვებგვერდებზე. ყველა საქმეს მინიჭებული აქვს თავის ნომერი და სახელწოდება. თქვენ კარგად უნდა მიაქციოთ ყურადღება საქმის დასახელებას და თუ რაიმე უზუსტობაა განრიგში, აცნობეთ სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

■ რჩევა - რეგულარულად შეამოწმეთ საქმეთა განხილვის განრიგები, შეიძლება გარკვეული მიზეზების გამო შეიცვალოს საქმის განხილვის დრო და სასამართლო დარბაზი.

- სხდომათა დარბაზში მანდატური იმდენ ადამიანს უშვებს რამდენი სკამიც არის, ამიტომ დროულად დაიჭირეთ თადარიგი და დროულად გამოცხადდით სასამართლოში.

- სასამართლო სხდომათა განრიგების გაცნობა შეგიძლიათ როგორც სასამართლოში არსებულ საინფორმაციო სტენდებზე, ასევე სასამართლოების ვებგვერდებზე.

იცოდეთ, რომ სასამართლოში განსაკუთრებული წესები და პრივილეგიები ჟურნალისტებისთვის არ არსებობს. კანონით დადგენილი ყველა წესი, ჟურნალისტებზეც ისევე ვრცელდება,

როგორც ნებისმიერ მოქალაქეზე.

სასამართლო პროცესზე დაგვიანების შემთხვევაში, მანდატურს უფლება აქვს, ჟურნალისტი არ შეუშვას სასამართლო დარბაზში. პირები, რომლებიც სასამართლო პროცესზე დაგვიანებენ, სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვებიან სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში, მოსამართლეს ისევე შეუძლია დააჯარიმოს ან სხდომის დარბაზიდან გააძევოს ჟურნალისტი, როგორც ნებისმიერი დამსწრე.

■ **რჩევა - ნუ დააგვიანებთ სასამართლო პროცესზე, რადგანაც, მანდატურს უფლება აქვს არ დაგიშვათ პროცესზე და ასეთ შემთხვევაში, თქვენ ვეღარ გააშუქებთ სასამართლო სხდომას. სასამართლო პროცესზე დამსწრე ჟურნალისტმა ისევე, როგორც ნებისმიერმა დამსწრემ, უნდა დაიცვას სიჩუმე და დაემორჩილოს სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს, ასევე, შეასრულოს მანდატურის მითითებები.**

ვიდეო-ფოტო გადაღება და აუდიოჩანაწერის გაკეთება სასამართლოში

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი ჟურნალისტებისთვის სასამართლო პროცესების გაშუქების სტანდარტებს აწესებს.

სასამართლოს შენობაში, ისევე, როგორც სხდომის დარბაზში საქმის განხილვისას, ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება აკრძალულია. დაუშვებელია ასევე სხდომის ტრანსლაცია. ფოტოსა და ვიდეო გადაღების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს შესაბამის უფლებამოსილ პირს.

ამა თუ იმ კონკრეტული საქმის განხილვისას გადაღებული ფოტოსა თუ ვიდეომასალის გავრცელება სასამართლოს შეუძლია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს, ან საქმეზე განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

ფოტო და ვიდეოგადაღება სასამართლოს ნებართვის გარეშე, ჟურნალისტებს მხოლოდ სასამართლოს ეზოს გარეთ შეუძლიათ.

სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერა, ანუ სხდომაზე დიქტოფონის გამოყენება, შეიძლება მხოლოდ მოსამართლის თანხმობით. მოსამართლეს უფლება აქვს აუდიოჩაწერის უფლება არ მოგცეთ, თუმცა მისი ეს გადაწყვეტილება მოტივირებული უნდა იყოს.

■ რჩევა - თუ ჟურნალისტს სურს საქმის სასამართლო განხილვის სტენოგრაფირება, ან აუდიოჩაწერა მან წინაწარ უნდა მიმართოს მოსამართლეს და მიიღოს ნებართვა. მოსამართლის უარი აუცილებლად მოტივირებული უნდა იყოს.

მას შემდეგ, რაც სასამართლოს შენობასა და სასამართლო დარბაზებში ფოტო და ვიდეოგადაღება კანონით აიკრძალა, ქართულ ჟურნალისტიკაში სასამართლო პროცესების ამსახველი ვიზუალური გამოხატვის ახალი მეთოდი გამოჩნდა. საუბარია უცხოეთის ქვეყნებში კარგად აპრობირებულ წესზე - სასამართლო მხატვრის მიერ სასამართლო სხდომების ჩანახატებით ილუსტრირებაზე.

მართალია, ეს მეთოდი ქართულ მედიასივრცეში, ჯერჯერობით, კარგად დამკვიდრებული არ არის, მაგრამ დღეისთვის ამ პრაქტიკას რამდენიმე გაზეთი წარმატებით იყენებს. სასამართლო რეპორტაჟებს თან ერთვის მხატვრის მიერ სასამართლო სხდომის მსვლელობისას გაკეთებული ჩანახატები, რომლებიც მკითხველს საშუალებას აძლევს, წარმოდგენა შეექმნას, რა ხდება ამა თუ იმ კონკრეტულ სასამართლო პროცესზე.

■ რჩევა - აიყვანეთ მხატვარი, რომელიც სასამართლო პროცესის თაობაზე ჩანახატებს მოგიმზადებთ. დასავლეთის ქვეყნებსა და ამერიკაში სასამართლო მხატვრის მიერ გაკეთებულ ჩანახატებს დიდი წარმატებით იყენებენ, როგორც ტელეკომპანიები ასევე, ბეჭდური მედია. თქვენს მიერ გაკეთებული რეპორტაჟი სასამარ-

თლო დარბაზიდან, რომელსაც ჩანახატი დაერთვება, ვიზუალურ ეფექტს - კადრის ეფექტს შეიძენს. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ვიდეოგადაღება არასდროს ყოფილა ნებადართული, სასამართლო რეპორტიორები ჩანახატებს იყენებენ და ამ პრაქტიკის საუკუნოვანი ტრადიცია აქვთ.

- **რჩევა - მხატვარი, რომელიც ამა თუ იმ მედიასაშუალებასთან თანამშრომლობს და სასამართლო სხდომის მსვლელობას ჩანახატებში ასახავს, ვალდებული არ არის, ვინმეს აუხსნას, რას ხატავს და რატომ ხატავს.**

განსაკუთრებული ტიპის სამართალწარმოება

სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე, რაც მართლმსაჯულების უმთავრესი პრინციპია. თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა შესაძლებელია დაიხუროს სასამართლო პროცესი, თუ მიზნად ისახავს სახელმწიფოს ან პიროვნების ისეთი საიდუმლობის დაცვას, რომლის გამჟღავნებაც ზიანს მოუტანს სახელმწიფოს ან პიროვნებას. თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში საჯაროდ ცხადდება.

■ **რჩევა** - ძირითადად დახურულად ცხადდება სხდომები, რომელზეც იხილავენ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულს, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს და გაუპატიურების საქმეებს. ამიტომ გქონდეთ მოლოდინი რომ მოსამართლემ შესაძლოა სხდომის დატოვება გიბრძანოთ.

შ ე კ ი თ ხ ვ ე ბ ი :

■ სასამართლო სხდომაზე დასწრების აკრძალვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ხდება თუ მოსამართლეს ნებისმიერ დროს შეუძლია დახუროს პროცესი?

■ კონკრეტულად რა სახის სასამართლო პროცესები შეიძლება დაიხუროს?

■ შემიძლია თუ არა არასრულწლოვანის საქმეზე დასწრება?

■ ვის უნდა მივმართო დახურულ პროცესზე დასწრების ნებართვისთვის?

■ რა უნდა ვქნა, თუ მოსამართლემ მოულოდნელად დახურა ის პროცესი, რომელსაც მანამდე ვაშუქებდი? შემიძლია თუ არა მოვითხოვო გამოძიების მასალები?

■ მაქვს თუ არა უფლება გავაპროტესტო მოსამართლის გადაწყვეტილება პროცესის დახურვის თაობაზე?

ზოგიერთ საქმეზე კანონი მოითხოვს, რომ სასამართლო სხდომა დაიხუროს და კონფიდენციალურობა იყოს დაცული.

მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა შეიძლება ჩატარდეს სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით; თუ პირი არ არის თანახმა მისი პირადი მიმოწერა და სატელეგრაფო შეტყობინება ღია სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნდეს და ბრალდებულის სამართალში მიცემისას.

მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარის მოთხოვნით აგრეთვე განიხილება: არასრულწლოვნის საქმე, სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის და სხვა კატეგორიის საქმეები, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ და ასევე, თუ ამას მოითხოვს პროცესის მონაწილისა და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა.

■ რჩევა - მოსამართლეს შეუძლია უარი უთხრას ჟურნალისტს დახურულ სხდომაზე დასწრებაზე. გარდა მოსამართლისა, დახურულ პროცესზე ჟურნალისტის დასწრებაზე უარის თქმის უფლება აქვთ პროცესის მონაწილე მხარეებსაც. მხარის მოთხოვნა სასამართლოს მიერ გათვალისწინებული იქნება.

დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება აგრეთვე საგამოძიებო ორგანოების შუამდგომლობა სასამართლო ბრძანებისა და დადგენილების გამოთხოვის შესახებ, გარდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევისა.

შეკითხვა: თუ კი ჟურნალისტს სურს დახურული სასამართლო პროცესის გაშუქება, უნდა დაუკავშირდეს სასამართლოს, რომ მიიღოს სპეციალური ნებართვა დახურულ სხდომაზე დასწრებისათვის? არსებობს თუ არა რაიმე გამონაკლისი ჟურნალისტებისთვის?

კანონით გათვალისწინებული ნორმები სხდომის დახურვის თაობაზე, რა თქმა უნდა, მოქმედებს ჟურნალისტებთან მიმართებაშიც. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხდომა იხურება სწორედ იმიტომაც, რომ საქმის დეტალები, რომლის გამჟღავნებაც არ სურთ მხარეებს, საჯარო არ გახდეს. ამიტომაც, ჟურნალისტთან დაკავშირებით არ არსებობს არანაირი გამონაკლისი და რა თქმა უნდა, იგი ვერანაირ ნებართვას ვერ მიიღებს დახურულ პროცესზე დასასწრებად. შესაბამისად, ვერც მოსამართლის გადაწყვეტილებას გააპროტესტებს.

■ **რჩევა - დახურული სხდომის შემდეგ განაჩენი საჯაროდ ცხადდება, ამიტომ, თუ გაქვთ საქმის ინტერესი, შეგიძლიათ დაელოდოთ სხდომის დამთავრებას და დაესწროთ განაჩენის გამოცხადებას.**

- საქმის წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურების საკითხს წყვეტს გამომძიებელი ან პროკურორი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით. გამომძიებელს ან პროკურორს საკუთარი შეხედულების მიხედვით შეუძლიათ გააცნონ ჟურნალისტს საქმის მასალები, თუ მათი გახმაურებით არ შეილახება გამოძიების ინტერესები ან არ დაირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია.

სასამართლოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

როგორც სასამართლო სხდომების უმეტესობა, სასამართლო ჩანაწერებიცა და სასამართლოს გადაწყვეტილებებიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

უმეტეს საქმეებზე საქმის მასალები საჯაროა და მათი მოპოვება შესაძლებელია სასამართლოში შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე. სასამართლოს გადაწყვეტილებას მხოლოდ კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ენიჭება სასამართლოში დაცული საჯარო ინფორმაციის სტატუსი, ამიტომ ჟურნალისტს მხოლოდ იმ საქმეზე მიეწოდება ინფორმაცია, რომელზეც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობს.

შეკითხვა:

როცა საქმე დასრულებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში და იხილება სააპელაციო წესით, მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი?

სასამართლო გადაწყვეტილებები და საქმის მასალები, როგორც სისხლის სამართლის ასევე, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სრული სახით გადაეცემათ მხოლოდ პროცესისი მონაწილე მხარეებს - განსასჯელს, მსჯავრდებულს, დაზარალებულს, პროკურორს და ა.შ. სხვა პირებს, მათ შორის მედიის წარმომადგენლებს გადაეცემათ სასამართლო გადაწყვეტილებები და განაჩენები.

მხარეთა პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, სამუშაო ადგილი, პროფესია და სხვა) დაშტრიხული სახით ვრცელდება.

სასამართლო გადაწყვეტილება და საქმის მასალები სრული სახით გადმოგეცემათ მხოლოდ ორივე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

თუმცა, ეს წესი არ ვრცელდება დახურულ სასამართლო სხდომაზე, რომლის მასალები ჟურნალისტს მხარეთა საიდენტიფიკაციო მონაცემების დაფარვის წესითაც არ გადაეცემა. ანუ, დახურული სასამართლო სხდომის მასალების ჟურნალისტისთვის გაცემა დაშტრიხული სახითაც კი დაუშვებელია.

■ რჩევა - თუ ხელში ჩაგივარდათ დახურული საქმის მასალები, ძალიან ფრთხილად მოეკიდეთ მის გამოქვეყნებას. სანამ ამ მასალებს გამოაქვეყნებთ, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია რედაქტორთან ან იურისტთან.

სასამართლოს შეუძლია უარი გითხრათ მასალების გადმოცემაზე, საქმეების სისტემატიზაციისა და საარქივო დამუშავების მოტივით.

■ რჩევა - ვიდრე სასამართლოს მიმართავთ სასურველი მასალების მისაღებად, უმჯობესია მხარეებისგან მიიღოთ ინფორმაციის გავრცელებაზე ნებართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ დროს დახარჯავთ, რადგანაც მხარეთა თანხმობის გარეშე სასამართლო უარს გეტყვით მასალის გადმოცემაზე.

ინფორმაციის მიღების ვადები

სასამართლოდან საჯარო ინფორმაციის გაცემას თავისი წესები აქვს, რომელიც რეგულირდება „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“. ამ კოდექსის მიხედვით, ისევე, როგორც სხვა უწყებაში სასამართლო სისტემაშიც არსებობს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი. ჟურნალისტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს და გარკვევით მიუთითოს, თუ რომელი საქმეზე რა ტიპის ინფორმაციის მიღება სურს.

ამგვარი განცხადების არსებობა აუცილებელია, ჟურნალისტმა უნდა გააცნობიეროს, რომ სახელმწიფო დაწესებულებასთან აქვს საქმე და მხოლოდ ზეპირი განცხადების საფუძველზე სასამართლო არქივთან მისი დაშვება არ შეიძლება.

■ რჩევა - როდესაც განცხადებას წარადგენთ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე, აუცილებლად ჩააყენეთ საქმის კურსში სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომლის დახმარებითაც თქვენ უფრო სწრაფად მიიღებთ მოთხოვნილ ინფორმაციას, რადგან პროფესიონალი პრესსამსახური ეცდება მოაგვაროს ჟურნალისტისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები. ამავე დროს, უმჯობესია იცოდეთ, არის თუ არა სასამართლოს არქივში საქმე, რომელსაც ითხოვთ.

■ **რჩევა - ნუ ეცდებით თავი აარიდოთ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე განცხადების დაწერას. განცხადებით მიმართვა აუცილებელია, რადგან ზეპირი განცხადების საფუძველზე სასამართლოს არქივთან ჟურნალისტის დაშვება არ შეიძლება.**

- თუ კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოდან ვერ მიიღებთ მოთხოვნილ ინფორმაციას, ამ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ, უკვე სარჩელით მიმართოთ სასამართლოს და სამართლებრივი გზით მოიპოვოთ სასურველი ინფორმაცია.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ სასამართლოს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა. 10-დღიანი ვადის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა ინფორმაციის მოძიება სხვა დაწესებულებიდან მასალის გამოთხოვას ან დიდი მოცულობის დოკუმენტის დამუშავებას ეხება. უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია პირს წერილობით განუმარტოს, თუ რატომ არ მოხდა ინფორმაციის მიწოდება და იქვე მიუთითოს გასაჩივრების წესი.

■ **რჩევა - სასამართლო არქივიდან სასურველი ინფორმაციის მიღების მიზნით, ჟურნალისტს შეუძლია მიმართოს პრესსამსახურს. პროფესიონალი პრესსამსახური ეცდება თავად გაიგოს არის თუ არა ჟურნალისტისთვის სასურველი საქმე არქივში. ამით შეიძლება თავიდან აიცილოთ საქმის მოძიების გაჭიანურებული პროცესი.**

მასალების გაცნობა ჟურნალისტს შეუძლია სასამართლოში გამოყოფილ სპეციალურ ოთახში. მას შეუძლია, როგორც ჩანაწერის გაკეთება, ასევე მასალების ასლების გაკეთება. თუმცა, ამ შემთხვევაში „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნიდან გამომდინარე, მან უნდა გადაიხადოს ასლის გადაღებისთვის ტარიფით დადგენილი თანხა. ერთი ფურცელის ღირებულება საშუალოდ 10 თეთრია.

არასრულწლოვანთა იდენტიფიცირება აკრძალულია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება აკრძალულია.

დაუშვებელია არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევა და იმ დანაშაულის გაშუქება, როდესაც არასრულწლოვანი არის ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული, დაზარალებული, მოწმე, წარმოადგენს პირს, რომელსაც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტატუსი არ გააჩნია.

ასევე, დაუშვებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობის გარეშე არასრულწლოვანისგან აღებული ინტერვიუს გამოქვეყნება, მისი გავრცელება არასრულწლოვანის იდენ-

ტიფიცირების დარღვევით, თუკი ის კონკრეტულ დანაშაულს ეხება.

კანონის ამ ნორმების დამრღვევი დაისჯება ადმინისტრაციული წესით. თუმცა, იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან თუკი დაასაბუთებს, რომ არასრულწლოვანის კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად, მოხდა უფრო მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილება.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევისთვის ფიზიკური პირი დაჯარიმდება 5 ათასი ლარით, ხოლო იურიდიული პირი 10 ათასი ლარით. ქმედების განმეორების შემთხვევაში საჯარიმო თანხა გაორმაგდება.

■ რჩევა - თუ უნდა გააშუქოთ დანაშაული, რომელშიც ბრალდებულია არასრულწლოვანი, ნუ დაასახელებთ მის ვინაობას, ნუ გამოაქვეყნებთ არასრულწლოვანის ფოტოს, ან ტელესიუჟეტში ნუ აჩვენებთ მის სახეს, ნუ მოახდენთ არასრულწლოვანის იდენტიფიცირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, არასრულწლოვანის უფლებებს დაარღვევთ და დაგეკისრებათ საჯარიმო ფულადი სანქცია.

სასამართლოსთან ურთიერთობის წესი

სასამართლო ხელისუფლებასთან ჟურნალისტის ურთიერთობა, სხვა სახელისუფლებო შტოებისგან განსხვავებით, მხოლოდ პრესსამსახურის მეშვეობით არის შესაძლებელი. კანონი და სამოსამართლეო ეთიკის კოდექსი მოსამართლეს უკრძალავს გასცეს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, გააკეთოს კომენტარი მისი ან სხვა მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ჟურნალისტს სასამართლოსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის ან ოფიციალური კომენტარის მიღება შეუძლია მხოლოდ პრესსამსახურის და სპიკერი მოსამართლის მეშვეობით. სპიკერ მოსამართლეს მედიის წარმომადგენელი პრესსამსახურის მეშვეობით უკავშირდება.

■ **რჩევა - დროის დაზოგვის მიზნით, სასურველი ინფორმაციის მისაღებად ჟურნალისტს შეუძლია პრესსამსახურს მიმართოს პირადად, ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით.**

სპიკერი მოსამართლე

სასამართლოში ინფორმაციის გავრცელების უფლება გააჩნია სასამართლოს თავმჯდომარეს, სპიკერ მოსამართლეს და პრესსამსახურს.

სპიკერი მოსამართლის მედიასთან ურთიერთობა რეგულირდება სპეციალური დებულებით, თუმცა, ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემა მას არ შეუძლია.

სპიკერ მოსამართლეს შეუძლია ინფორმაცია მოგცეთ სასამართლოს საქმიანობაზე და ასევე, მიუკერძოებელი და ობიექტური განმარტება მოგცეთ ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. სპიკერ მოსამართლეს ეკრძალება კერძო მოსაზრების გამოთქმა, ვერ გააკრიტიკებს კოლეგების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას და კომენტრს ვერ გაუკეთებს პოლიტიკურ მოვლენებს.

არსებული დებულებით, სპიკერი მოსამართლე ვალდებულია დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია და პირის კონფიდენციალურობა. პროცესის მონაწილეთა თაობაზე მონაცემებს სპიკერი მოსამართლე მხოლოდ მათი თანხმობით მოგაწვდით.

- **რჩევა - სპიკერ მოსამართლესთან ინტერვიუს ჩაწერისთვის ან მისგან კომენტარის ასაღებად მიმართეთ პრესსამსახურს. ნუ დაუკავშირდებით სპიკერ მოსამართლეს პირდაპირ, რადგანაც სპიკერი მოსამართლე ჩვეულებრივი მოსამართლეა და პრესსამსახურის რეკომენდაციის გარეშე შესაძლებელია არ გიპასუხოთ შეკითხვაზე.**

პრესსამსახური

პრესსამსახურის ძირითადი ფუნქციაა მედიასთან ურთიერთობა და კომუნიკაციაა. იგი უნდა დაეხმაროს ჟურნალისტს მიმდინარე სასამართლო განრიგის მოძიებაში და უზრუნველყოს ჟურნალისტების სასამართლო სხდომაზე დასწრება. ასევე, პრესსამსახური უნდა ფლობდეს ყველა საჭირო ინფორმაციას სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე, რომ ჟურნალისტმა დაუყოვნებლივ და სრულფასოვნად მიიღოს მოთხოვნილი მასალა.

პრესსამსახურის თანამშრომლებმა მაქსიმალურად მარტივი ფორმით უნდა მოგაწოდონ ინფორმაცია, რომ არ მოხდეს სასამართლო ტერმინოლოგიის აღრევა და ინფორმაცია გასაგები იყოს თქვენთვის.

■ რჩევა - სასამართლო სისტემის წარმომადგენელთან ინტერვიუს აღების სურვილის შემთხვევაში, უნდა მიმართოთ პრესსამსახურს, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებს შეხვედრას.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლის შესაბამისად, ამავე კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პრინციპის დაცვით და ასევე,

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მესამე თავის ინფორმაციის თავისუფლების პრინციპების მიხედვით, პრესსამსახური ვალდებულია ინფორმაცია მოგცეთ დაუყოვნებლივ.

პრესსამსახურს შეუძლია რეაგირება მოახდინოს პრესაში გასულ ინფორმაციაზე, როგორც პრესრელიზით, სპეციალური ბრიფინგით ან საპასუხო ინფორმაციის გავრცელებით.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა ადამიანს იცავს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაც ადამიანის უფლებების დაცვის და მართლმსაჯულების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. საქართველოს კონსტიტუციაში ასევე აღიარებულია სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უზრუნველყოფენ პიროვნების ხელშეუხებლობას, მისი პატივისა და ღირსების დაცვას.

■ **რჩევა** - **უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა სავალდებულოა ყველასთვის, მათ შორის, ჟურნალისტებისთვის. პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოცხადდეს დამნაშავედ, თუ მისი ბრალეულობა დადასტურებულია სასამართლოს მიერ. უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა საკუთარი უფლებების დაცვისა და სხვა ადამიანების უფლებების დაცვის გარანტია.**

შეკითხვები:

1. **რა ფორმით უნდა გაშუქდეს პროცესი სანამ დადგება საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი, რომ არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია?**
2. **ვის შეუძლია პასუხი მოსთხოვოს ჟურნალისტს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისთვის და რა ტიპის სანქციები არსებობს ამისთვის?**

სასამართლო პროცესიდან რეპორტაჟის გაკეთებისას ჟურნალისტმა მკითხველს, მსმენელს ან მაყურებელს უნდა შეუქმნას დარბაზში დასწრების ეფექტი. ჟურნალისტი არ უნდა იყოს მიკერძოებული და რეპორტაჟში ყველა მხარის პოზიცია ობიექტურად უნდა გადმოსცეს. რეპორტაჟი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ფაქტებს და ასახავდეს სიმართლეს. სასამართლო რეპორტაჟის მომზადებისას ჟურნალისტი არ უნდა იყოს ტენდენციური, რეპორტაჟი უნდა გაკეთდეს ჟურნალისტის შეფასებების გარეშე, მასში რეპორტიორის აზრი და პოზიცია არ უნდა ჩანდეს.

■ **რჩევა - ნუ დაამახინჯებთ ფაქტებს, ნუ გამოთქვამთ ვარაუდებს და ნუ გააკეთებთ წინასწარ დასკვნებს, ნუ შეაფასებთ პროცესის მიმდინარეობას, მანამდე, სანამ ის არ დასრულდება, რადგან ეს შეიძლება სასამართლოზე ზეწოლად ჩაგითვალონ.**

- **მანამდე, სანამ სასამართლო პირს არ ცნობს დამნაშავედ, ნუ უწოდებთ ბრალდებულს დამნაშავეს. ნუ დაწერთ ან იტყვით, რომ პირმა მოიპარა, მოკლა, სცემა, გაძარცვა და ა.შ. შეგიძლიათ დაწეროთ, რომ პირი ბრალდებულია ქურდობაში, ძარცვაში, მკვლელობაში. ნუ დაწერთ, რომ პირი არის მკვლელი, ყაჩაღი, მძარცველი, თაღლითი და ა.შ.**
- **არ შეიძლება ჟურნალისტმა ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადასტურებულად ცნოს, მანამდე, სანამ სასამართლო არ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს, სხვა შემთხვევაში თქვენ დაარღვევთ უდანაშაულობის პრეზუმფციას და შელახავთ ადამიანის უფლებებს.**

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პირს, რომლის უფლებაც შეილახა შეუძლია, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას.

პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების უკანონოდ გამჟღავნებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება აქვს.

სამოქალაქო კოდექსი პირს ანიჭებს უფლებას, სასამართლოს წესით დაიცვას საკუთარი ღირსება და სასამართლოს საშუალებით გააბათილოს მასთან დაკავშირებით გავრცელებული ესა თუ ის ინფორმაცია.

თუკი სასამართლო განხილვისას დადგინდება, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ პირთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაცია ჟურნალისტმა შეგნებულად დამახინჯებულად გაავრცელა და ვერ დასაბუთდება გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობა, ჟურნალისტი ვალდებული იქნება, გამოაქვეყნოს გამაბათილებელი ცნობები, ბოდიში მოიხადოს, ან გადაიხადოს სხვადასხვა სახის კომპენსაცია დაზარალებულის სასარგებლოდ. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს მართლმსაჯულება.

■ **რჩევა** - გახსოვდეთ, ჟურნალისტის მიერ გადაუმოწმებელი, დაუზუსტებელი ან ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, შესაძლოა, მძიმე შედეგები მოჰყვეს. ასეთი ინფორმაციით, შესაძლებელია, შეილახოს ამა თუ იმ კონკრეტული პირის საქმიანი ან პირადი რეპუტაცია, ანდა გადაუმოწმებელი, არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებით, საფრთხე შეექმნას სახელმწიფოს და ადამიანის უსაფრთხოებას. ამიტომაც, ყოველთვის გადაამოწმეთ ინფორმაცია და ისე გამოაქვეყნეთ.

- მსგავსი პრობლემებისგან თავის დასაცავად გამოგადგებათ ჟურნალისტიკის ოქროს წესი - გადაამოწმეთ ინფორმაცია სულ ცოტა სამ წყაროსთან.

„ნუ ენდობი ნურავის და ნურაფერს, გადაამოწმეთ ყველა და ყველაფერი“, - ეს ნიუ-იორკ თაიმსის დევიზია.

ცხრა პრინციპი

ამერიკის წამყვან ჟურნალისტთა ჯგუფმა, რომელმაც ჩამოაყალიბა „ჟურნალისტთა კომიტეტი“ შეიმუშავეს ცხრა პრინციპი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს თანამედროვე ჟურნალისტი.

1. ჟურნალისტიკა, უპირველეს ყოვლისა, სიმართლეს უნდა ემ-

სახურებოდეს;

2. ჟურნალისტიკა, პირველ რიგში, მოქალაქეების ერთგული უნდა იყოს;
3. ჟურნალისტიკის არსი ინფორმაციის მუდმივი გადამოწმებაა;
4. ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა;
5. ჟურნალისტი უნდა მოქმედებდეს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი მაკონტროლებელი;
6. ჟურნალისტიკა ხალხს საჯარო კრიტიკისა და მსჯელობის საშუალებას უნდა აძლევდეს;
7. ის, რაც მნიშვნელოვანია, ჟურნალიტმა საინტერესოდ და ადეკვატურად უნდა წარმოადგინოს;
8. ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს ინფორმაციის პროპორ-ციულობა და ინფორმაცია ყოველმხრივი უნდა გახადოს;
9. ჟურნალისტი პასუხს აგებს სინდისის წინაშე.

1954 წელს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო კონგრესმა მიიღო საერთაშორისო დეკლარაცია, რომელშიც 1986 წელს მსოფლიო კონგრესმა შესწორებები შეიტანა და საბოლოოდ, პროფესიონალური ჟურნალისტური სტანდარტები დაადგინა. ესენია:

1. ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობაა: სიმართლის დაცვა და საზოგადოების უფლების დაცვა - იცოდეს სიმართლე.
2. მოვალეობის შესრულებისას ჟურნალისტმა ყოველთვის უნ-და დაიცვას თავისუფლების პრინციპი - ინფორმაციის კე-თილსინდისიერად მოპოვებისა და გამოქვეყნებისა და, ასევე, სამართლიანი კომენტარისა და კრიტიკის უფლება.
3. ჟურნალისტმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ ის ფაქტები, რო-

მელთა წარმოშობის წყაროც მისთვის ცნობილია. ჟურნალისტმა არ უნდა შეზღუდოს უმთავრესი ინფორმაცია და არ გააყალბოს დოკუმენტები.

4. ჟურნალისტმა ინფორმაციის, ფოტოსურათებისა და დოკუმენტების მოპოვებისას მხოლოდ სამართლიანი საშუალებები უნდა გამოიყენოს.
5. ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ გასწორდეს გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც არაზუსტი და საზიანო აღმოჩნდა.
6. ჟურნალისტმა უნდა დაიცვას მოპოვებული ინფორმაციის წყარო და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული პროფესიული საიდუმლოება.
7. ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს ის საფრთხე, რომელსაც ქმნის მედიის მიერ დისკრიმინაცია და ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა თავიდან აიცილოს რასობრივ კუთვნილებაზე, სქესზე, სექსუალურ ორიენტაციაზე, ენაზე, რელიგიაზე, პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებზე, ეროვნულ თუ სოციალურ კუთვნილებაზე დამყარებული დისკრიმინაცია.
8. ჟურნალისტისთვის სერიოზული პროფესიული დანაშაულებია: პლაგიატობა, განზრახ არასწორი ინტერპრეტაცია, ცილისწამება, შეურაცხყოფა, უსაფუძვლო ბრალდება, ნებისმიერი სახით ქრთამის აღება.
9. ღირსეული ჟურნალისტი აუცილებლად მიიჩნევს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვას.

სასამართლოში ქცევის წესები

სასამართლოს პატივისცემა და მისი პრესტიჟის დაცვა სავალდებულოა ყველასთვის, მათ შორის ჟურნალისტებისთვისაც. იცოდეთ, რომ სასამართლოში წესრიგის დაცვის სპეციალური წესები არსებობს.

სასამართლოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ახორციელებს მანდატურის სამსახური. მანდატური უზრუნველყოფს მოსამართლეების, სასამართლო პროცესის მონაწილეებისა და მოწმეების უსაფრთხოებას. მანდატურის მოვალეობაა, სასამართლოს შენობაში აღკვეთოს სამართალდარღვევა და გამოავლინოს დამრღვევები.

■ რჩევა -სასამართლო პროცესზე დამსწრე პირებმა, მათ შორის ჟურნალისტებმაც უნდა გამორთონ მობილური ტელეფონები. პროცესზე დამსწრეები ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ სიმშვიდე, დაიცვან სიჩუმე და დაემორჩილონ სხდომის თავმჯდომარის განკარგულებებს. ასევე, შეასრულონ მანდატურის მითითებები.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში, მოსამართლეს შეუძლია დაგაჯარიმოთ ან სხდომის დარბაზის დატოვება გიბრძანოთ.

თუ დარბაზიდან გაძევების შემდეგ წესრიგის დამრღვევი კვალავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მან-

დატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს ჯარიმა ან პატიმრობა.

■ **რჩევა - სასამართლო პროცესზე ჟურნალისტები არანაირი დამატებითი უფლებით და პრივილეგიით არ სარგებლობენ.**

- არ დაგავიწყდეთ, სასამართლო დარბაზში მობილურის გამორთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ შესაძლოა დაგატოვებინონ სასამართლო სხდომა ან დაგაჯარიმონ.



ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მედია

ეკითხვები:

1. **როგორ უნდა გაშუქდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი?**

2. **არსებობს თუ არა აკრძალვები ჟურნალისტებისთვის?**

3. **როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს მედიამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე?**

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის აღსანიშნავად გამოიყენება საერთაშორისო ტერმინი „ვორ დირე“, რაც ნაფიცთა შერჩევას ნიშნავს. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევა ხდება სასამართლო დარბაზში. ჟურნალისტებს უფლება აქვთ დაესწრონ ნაფიცთა შერჩევის პროცესს. მათ უნდა მიმართონ სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს დარბაზში ჟურნალისტების განთავსებას.

ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.

ნაფიც მსაჯულს ეკრძალება განსახილველ საქმესთან და-

კავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა ნებისმიერ პირთან ურთიერთობა; განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა.

■ რჩევა -კანონით ნაფიც მსაჯულთათვის დაწესებული აკრძალვები ეხება მედიის წარმომადგენლებსაც. საქმის განხილვის პროცესშიი ნუ ეცდებით ნაფიცი მსაჯულისგან ინტერვიუს აღებას, ნუ მოითხოვთ მისგან კომენტარის გაკეთებას ან აზრის გამოთქმას, რადგან ნაფიც მსაჯულს ეკრძალება განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა ნებისმიერ პირთან, მათ შორის ჟურნალისტთან ურთიერთობა და აზრის გამოთქმა ან საქმის დეტალებზე საუბარი.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ, თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან“. ეს აკრძალვა მედიასაც ეხება, რადგან მედიით შეიძლება მსაჯულებს საქმის ირგვლივ მიეწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ განაწყობს ბრალდების, ან დაცვის მხარის სასარგებლოდ.

■ **რჩევა** - გააკეთეთ რეპორტაჟი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან, ჟურნალისტს უფლება აქვს შეზღუდვების გარეშე დაესწროს პროცესს და გააშუქოს სასამართლო სხდომაზე მიმდინარე მოვლენები.

- უმჯობესია თავი შეიკავოთ პროცესის გარეთ მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნებისგან, ასეთი ინფორმაცია შესაძლებელია იყოს ბრალდებულის ნასამართლობა, წინასწარი გამოძიებისას ბრალის აღიარება, დაუშვებლად ცნობილი საგამოძიებო მოქმედებების შედეგები და ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც პროცესზე ვერ მოისმენს ნაფიცი მსაჯული, რადგან მედიის საშუალებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირება იმ საქმის ირგვლივ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე განიხილება, რაც ასევე ზეგავლენას ახდენს ნაფიც მსაჯულებზე, რომლებმაც ბრალდებულს სამართლიანი და მიუკერძოებელი ვერდიქტი უნდა გამოუტანონ.

არსებული კანონმდებლობით, თუ მასმედიით ინტენსიური გაშუქების გამო ან საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვა. საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგი-

ნოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში.

■ რჩევა - ნუ მოახდენთ ნაფიც მსაჯულთა დისკრედიტაციას მისი პირადი ცხოვრების დეტალების გახმაურებით, ამით ზემოქმედებას მოახდენთ ნაფიც მსაჯულებზე, რომლებმაც სამართლიანი ვერდიქტი უნდა გამოიტანონ.

იცოდეთ, რომ თუ დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავს მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

■ რჩევა - მედიას არ ეკრძალება ნაფიც მსაჯულებთან ურთიერთობა საქმის განხილვის დასრულების შემდეგ. თუმცა, ნაფიცი მსაჯული ვერაფერს იტყვის თათბირისა და ვერდიქტისთვის კენჭისყრის პროცედურის დეტალებზე, ამას მას კანონი ყველა შემთხვევაში უკრძალავს.

საერთაშორისო პრაქტიკა

სასამართლო პროცესზე ზემოქმედების მექანიზმები განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, როდესაც იხილავდა გახმაურებულ საქმეს - შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ.

1954 წელს დააკავეს ცნობილი ექიმი სემ შეპარდი თავისი ფეხმძიმე ცოლის - მერილინის მკვლელობის გამო. შეპარდი ამტკიცებდა, რომ მკვლელობა მისი ჩადენილი არ იყო. საქმის მიმდინარეობას ფართოდ აშუქებდა პრესა და ტელევიზია. კლივლენდის გაზეთებში ყოველდღე იწერებოდა ამ შემთხვევის შესახებ. მედიის განწყობა შეპარდის მიმართ აშკარად ნეგატიური იყო, რაც თავისთავად აისახა კიდეც მსაჯულთა ვერდიქტზე. სხდომის თავმჯდომარემ ვერ შეძლო დაეცვა მსაჯულები მედიის ზეგავლენისაგან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მსჯავრდებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლო დაეთანხმა ბრალდებულის მტკიცებას პროცესის სამართლიანობის დარღვევის შესახებ და დაადგინა მისი ხელმეორედ გასამართლება, რის შემდეგაც მას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა.

თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა გარკვეულ მექანიზმებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს

მედიის ზეგავლენისაგან სასამართლო პროცესის დასაცავად. ასეთ მექანიზმებად სასამართლომ ჩათვალა: 1) საქმის განხილვის გადატანა სხვა ადგილას; 2) საქმის განხილვის შეჩერება; 3) ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის საქმის დეტალების გახმაურების აკრძალვა - ე.წ. **No Comment-is** წესი; 4) პოტენციური მსაჯულის წინასწარი დაკითხვა მოსამართლის ან მხარის მიერ იმის გამოსავლენად, არის თუ არა ის კვალიფიციური ან მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად - **ე.წ. voire dire;** 5) მოსამართლის მითითებები ნაფიცი მსაჯულებისადმი; 6) ნაფიც მსაჯულთა ჩაკეტვა, რაც გულისხმობს პროცესის მსვლელობის განმავლობაში ნაფიც მსაჯულთა იზოლაციას საზოგადოებისაგან.

აღნიშნულ პროცედურებს იყენებენ საერთო სამართლის სხვა ქვეყნებიც, თუმცა ყველგან - არა.

საქმის განხილვის სხვაგან გადატანა ეფექტურია იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდ ტერიტორიებს ფლობენ. მედიის ზემოქმედების გასანეიტრალებლად ასევე გამოიყენება მოსამართლისათვის საქმის გადაცემა ერთპიროვნული განხილვისათვის. ასეთი მექანიზმი გამოიყენება კანადაში, თუ ბრალდებისა და დაცვის მხარეები შეთანხმდებიან ამაზე. თუმცა, აღნიშნული მექანიზმი ვერ იმოქმედებს ისეთ სახელმწიფოში, სადაც კანონი ამა თუ იმ ქმედებაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სავალდებულო განსჯადობას ითვალისწინებს - ასეთია ავსტრალია და ახალი ზელანდია.

მედიაზე ზემოქმედების მექანიზმები ასევე განისაზღვრა

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია, 1976 წელს განხილული საქმე - ნებრასკას პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ერვინ ჩარლზ სიმატსის მიერ ჰენრი კელისა და მისი ოჯახის ექვსი წევრის, მათ შორის - ბავშვების, მკვლელობას. იმისათვის, რომ სასამართლოზე არ გავრცელებულიყო პრესის მავნე ზეგავლენა, მოსამართლემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალა ბრალდებულის მიერ პოლიციისათვის მიცემული ან სხვაგვარად გაკეთებული განცხადებების გამოქვეყნება, ასევე - იმ მტკიცებულებათა გაშუქება, რომლებიც წარდგენილი იყო საქმის წინასწარი მოსმენისას.

აღნიშნული ბრძანება გააუქმა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ და მიუთითა, რომ "საქმის წინასწარი, თუნდაც ნეგატიური გაშუქება აუცილებლად არ იწვევს პროცესის უსამართლობას." სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვა უნდა გამოიყენებოდეს ყველაზე უკიდურეს საშუალებად - მას შემდეგ, რაც ამოიწურება სხვა, ტრადიციული მექანიზმები. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მედიას შეეძლო თავისუფლად გაეშუქებინა ყველაფერი, რაც მოხდა სასამართლოს ღია სხდომაზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ინგლისში 1981 წელს გამოცემული კანონის თანახმად, რომელიც სასამართლოს უპატივცემულობას ეხება, მედიას შესაძლოა, აეკრძალოს და მის წინააღმდეგ აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ იგი გამოაქვეყნებს საქმის განხილვაზე ზეგავლენის მომხდენ მასალებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამდ-

გომლობის შემტანმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ მასალების გამოქვეყნებით შეიქმნა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის არსებითი საფრთხე.

შოტლანდიაში ამ კანონის მოქმედება კიდევ უფრო მკაცრია. პრესა მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენს ნაფიც მსაჯულთა პროცესის გაშუქებისას. პროცესის სამართლიანობიდან გამომდინარე, მედიაზე აკრძალვების დაწესების მექანიზმებს ასევე იყენებენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და ირლანდია.

საიდუმლო ინფორმაცია

საქართველოს ყველა მოქალაქეს მათ შორის ჟურნალისტებსაც უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით გაეცნონ სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციას, ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ განეკუთვნებიან კონფიდენციალურ ინფორმაციათა კატეგორიას.

ადმინისტრაციული კოდექსი სამი ტიპის ინფორმაციას გამოყოფს, რომელთა გასაიდუმლოებაც შესაძლებელია. ესენია: პირადი საიდუმლოება, სახელმწიფო საიდუმლოება და კომერციული საიდუმლოება.

საიდუმლო ინფორმაციის გაცემის შემთხვევაში შესაძლებელია რედაქტორს ან ჟურნალისტს დაეკისროს პასუხისმგებლობა.

■ რჩევა - იცოდეთ, რომ არსებობს გამონაკლისი. თუ საიდუმლო კატეგორიას მიკუთვნებულ ინფორმაციას გამოაქვეყნებთ და ამით საზოგადოებას ან კონკრეტულ პირს იხსნით საფრთხისგან, მაშინ პასუხისმგებლობა არ დაგეკისრებათ.

გახსოვდეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით განსაზღრულია პირები, რომელთაც მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება, მათ შორისაა ჟურნალისტიც.

■ **რჩევა** - ჟურნალისტს პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეუძლია არ მისცეს გამოძიებას ჩვენება. ჟურნალისტს უფლება აქვს არ დაასახელოს ინფორმაციის წყარო.

სასარგებლო ინფორმაცია

სასამართლო ხელისუფლება

საქართველოს კონსტიტუციით საქართველოში ხელისუფლების სამი შტოა - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო.

პირველ შტოს - საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს პარლამენტი, რომელიც პასუხისმგებელია კანონების მიღებაზე;

მეორე შტოს მიეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლება - პრეზიდენტი და მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის მიერ მიღებული კანონების აღსრულებაზე.

მესამე შტოს კი წარმოადგენს საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ხელისუფლების პირველ ორ შტოს, რათა არ დაირღვეს კანონი და უზრუნველყოფილი იყოს მისი შესაბამისი გამოყენება.

საქართველოს უახლეს ისტორიაში, კერძოდ, 1995 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომლის მე-5 თავიც სასამართლო ხელისუფლებას მიეძღვნა.

2005 წლის დასაწყისში შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე დაიწყო სასამართლო რეფორმა და ჩამოყალიბდა სასამართლო სისტემა, რომლის შედეგადაც შეიქმნა გამართული და

კარგად ორგანიზებული მართლმსაჯულების ორგანოები.

სასამართლო ხელისუფლება ახორციელებს მართლმსაჯულებას - სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვა-გადაწყვეტას.

სასამართლოს მთავარი ფუნქციაა დაიცვას ადამიანი სახელმწიფოსა და სხვა პირების თვითნებობისა და ძალადობისგან.

შეკითხვა: როგორ განახორციელებს სასამართლო ხელისუფლება ამ ფუნქციას და რა ბერკეტები გააჩნია მას საამისოდ?

ამ ფუნქციის განხორციელება სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლისა და მართლმსაჯულების განხორციელების გზით.

საკონსტიტუციო სასამართლო

საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას. სწორედ ეს სასამართლო ადგენს კანონების და სხვა სახელმწიფო აქტების ქვეყნის მთავარ კანონთან - კონსტიტუციასთან შესაბამისობას. ის კონსტიტუციური კონტროლის ყველაზე მაღალი ორგანოა.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

ნებისმიერი მოქალაქეს აქვს, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების დარღვევა შეიძლება გახდეს, ან გასაჩივრდეს კანონის ყველა ის ნორმა, რომელიც კონსტიტუციასთან შესაბამისობაში არ მოდის.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

საერთო სასამართლოები

„სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით,“- აღნიშნულია კონსტიტუციის 82 -ე მუხლში.

არავის აქვს უფლება გარდა სასამართლოსი განახორციელოს მართლმსაჯულება. სხვა სახელმწიფო ორგანო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს სასამართლო ფუნქციები.

სასამართლოს აქტები სავალდებულოა საქართველოს ყველა სახელმწიფო ორგანოსა და ნებისმიერი მოქალაქისთვის.

ინსტანციურობა

საქართველოში არსებობს სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა.

პირველი ინსტანციაა - რაიონული (საქალაქო) სასამართლო და მაგისტრატი სასამართლოები. პირველი ინსტანციის სასამართლოები არსებითად განიხილავენ საქმეს და გამოაქვთ გადაწყვეტილება. პირველ ინსტანციაში საქმეები განიხილება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად, ანუ საქმეს განიხილავს მხოლოდ ერთი მოსამართლე.

მეორე ინსტანციაა - სააპელაციო სასამართლო. საქართველოში ორი სააპელაციო სასამართლოა თბილისის და ქუთაისის. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარეს შეუძლია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გაასაჩივროს გადაწყვეტილება მეორე ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლო კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე საქმეს ერთპიროვნულად განიხილავს.

მესამე ინსტანციაა - საკასაციო სასამართლო, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. იგი განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელა-

ციო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივარი განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით. დიდ პალატაში კი - ცხრა მოსამართლის შემადგენლობით.

სამივე ინსტანციის სასამართლოები მართლმსაჯულებას ახორციელებენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე.

■ **რჩევა - ნუ აურევთ ერთმანეთში სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს ან მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, ამით შეცდომაში შეიყვანთ საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს. მაგალითად, ბრალდებულს, ან მისი ოჯახის წევრებს. და, რაც მთავარია, ეს შეცდომა თქვენს პროფესიონალიზმზეც უარყოფითად იმოქმედებს.**

მოსამართლე

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. მოსამართლე ხელშეუხებელია.

არავის არა აქვს უფლება მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

სხვადასხვა ინსტანციების მოსამართლეები სხვადასხვა ფერის მანტიებით არიან შემოსილი.

პირველი ინსტანციის, ანუ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეები შინდისფერი მანტიით იმოსებიან.

მეორე, ანუ სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეები მწვანე ფერის მანტიით არიან შემოსილი.

უზენაესის, იგივე საკასაციოს, ანუ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები შავი ფერიის მანტიით ახროციელებენ მართლმსაჯულებას.

■ რჩევა - საქართველოში სასამართლო პროცესზე მანტიით მხოლოდ მოსამართლეები წარდგებიან. უცხოეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, პროცესის მონაწილე მხარეებისთვის სპეციალური ფორმა ჯერჯერობით არ არსებობს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვა-

ლისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისგან და 2 სათადარიგო მსაჯულისგან, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იმოქმედებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს.

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილავს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და 137-ე (გაუპატიურება) მუხლებით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის საქმეებს.

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები.

პირი ნაფიცი მსაჯული გახდება თუ: შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან საარჩევნო სიაში; ფლობს სისხლის სამართლის

პროცესის ენას; ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი;

შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის განხორციელებას.

პირი ვერ იქნება ნაფიცი მსაჯული, თუ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი აცილების საფუძველი, ან იგი არის: სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი; გამომძიებელი; პოლიციელი; ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; სასულიერო პირია; საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა; ბრალდებულია; ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირია; გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების გათვალისწინებით, მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად საქმეში აშკარად უსამართლობა იქნება; ფსიქოლოგია; ფსიქიატრია; იურისტია.

მანდატური

2006 წლიდან, ქართულ სასამართლოებში, სპეციალურ ფორმაში გამოწყობილი პირები გამოჩნდნენ, რომლებიც პროცესის მიმდინარეობის დროს დარბაზში წესრიგს უზრუნველყოფენ. სასამართლოს შენობაში მყოფ სპეციალურ ფორმაში გამოწყობილ პირს მანდატური ეწოდება და ის მოსამართლის ბრძანებას

ემორჩილება. სწორედ მანდატურის სამსახურის დამსახურებაა, რომ სასამართლო პროცესები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს და დაცულია პროცესის მონაწილე მხარეების უსაფრთხოებაც.

მანდატური უზრუნველყოფს მოსამართლეების, სასამართლო პროცესის მონაწილეებისა და მოწმეების უსაფრთხოებას.

სასამართლო პროცესის მონაწილეები

სასამართლოში საქმის განხილვისას, სასამართლო სხდომები მხარეების მონაწილეობით მიმდინარეობს. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას ძირითად მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მოპასუხე. გარდა ამისა, სასამართლო პროცესის მონაწილეები არიან: სხდომის მდივანი, წარმომადგენელი, ადვოკატი. საჭიროების შემთხვევაში - ექსპერტი, თარჯიმანი, მოწმე, სპეციალისტი და ა.შ.

სამოქალაქო საქმეების განხილვისას, მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. ფიზიკური პირები არიან ისინი, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ხოლო იურიდიულ პირს წარმოადგენს ფიზიკური პირებისაგან შემდგარი ერთობლიობა, რომელიც იურიდიული პირის სახელით, კანონით გათვალისწინებული წესით, სპეციალურ სახელმწიფო ორგანოში არიან რეგისტრირებულნი.

სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას პროცესის მო-

ნაწილენი არიან: გამომძიებელი, პროკურორი, ფიზიკური პირი, ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, ადვოკატი, დაზარალებული, მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი და ა.შ.

გამომძიებელი - არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც მომხდარ დანაშაულს იძიებს.

დაზარალებული - არის პირი, რომელმაც დანაშაულის მომზადების, მცდელობის ან დანაშაულის ჩადენის შედეგად მიიღო ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანი.

ბრალდებული - არის პირი, რომლის მიმართაც კანონით დადგენილი წესის საფუძველზე პროკურორის მიერ გამოტანილია დადგენილება მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

მსჯავრდებული - არის პირი, რომელის მიმართაც სასამართლომ გამოიტანა განაჩენი და ეს განაჩენი უკვე ძალაშია შესული.

პროკურორი - არის პირი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას სამივე ინსტანციის სასამართლოში და თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი.

პროკურორი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. გარდა სასამართლო პროცესებში მონაწილეობისა, პროკურორი საქმის

წინასწარი გამოძიების ეტაპზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

ადვოკატი - ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის ადამიანი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს, პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

ადვოკატი, ძველ ქართულად იგივე „მეოხი“, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის ინტერესების დამცველია.

ბრალდებულს უფლება აქვს აიყვანოს დამცველი. თუ ის ამას ვერ შეძლებს, მატერიალური მდგომარეობის გამო, მაშინ სასამართლო ვალდებულია, თვითონ დაუნიშნოს დამცველი სახელმწიფოს ხარჯზე.

■ **რჩევა** - **საპროცესო ნორმებით ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სტატუსი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ნუ აურევთ ერთმანეთში ბრალდებულსა და მსჯავრდებულს, ამით შეცდომაში შეიყვანთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც დაინტერესებულია ამა თუ იმ კონკრეტული პირის ბედით ან საქმის დეტალებით. მსჯავრდებულია პირი, რომელსაც სასამართლო განაჩენს გამოუტანს. პირი კი, რომელიც საქმესაც სასამართლოს ჯერ არ უცვნია დამნაშავედ - ბრალდებულია.**

სასამართლო აქტები

სისხლის სამართალწარმოებისას
სასამართლო გამოსცემს შემდეგ აქტებს:

განაჩენი: პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.

დადგენილება: გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლეს ერთპიროვნულად გამოაქვს საქმის განხილვისას.

შემაჯამებელი გადაწყვეტილება: გადაწყვეტილება, რომელიც ამთავრებს სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიას.

სასამართლო (მოსამართლის) ბრძანება: მოსამართლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, რომელიც იძლევა დაპატიმრების, სხვა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ნებართვას.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სასამართლო გამოსცემს შემდეგ აქტებს:

გადაწყვეტილება: საბოლოო გადაწყვეტილება, ანუ სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად წყდება, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.

ნაწილობრივ გადაწყვეტილება: თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ.

წინასწარი ანუ შუალედური გადაწყვეტილება: თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ისე ამ მოთხოვნის მოცულობა, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ.

განჩინება: კოლეგიური წესით გამოტანილი პირველი, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციების სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის გარდა) ნებისმიერ საკითხზე; სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება სწორედ განჩინების ფორმით. სასამართლო განჩინებას, რომელიც მიღებულია ერთპიროვნულად მოსამართ-

ლის მიერ, ხელს აწერს ეს მოსამართლე, ხოლო თუკი იგი მი-
ღებულია კოლეგიური სასამართლოს მიერ - მას ხელს აწერს
ყველა მოსამართლე.

კონტაქტები

პრესსამსახურები:

საქართველოს უზენაეს სასამართლო

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 32
ტელ/ფაქსი: (995 32) 99 70 01; 8 77 71 84 42
ელ-ფოსტა: **public-relations@supremecourt.ge**, **vasadze-nana@yahoo.com**
ვებგვერდი : **www.suprecourt.ge**

თბილისის სააპელაციო სასამართლო

მისამართი: თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა, 0159
ტელ.: (995 32) 53-09-14/15
ფაქსი: (995 32) 53-09-32
ელ. ფოსტა: **tbappeal@court.ge**
ვებგვერდი : **www.tbappeal.court.gov.ge**

თბილისის საქალაქო სასამართლო

მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6
ტელ: (995 32) 54 10 63; 8 77 92 33 16; 8 77 28 40 47
ელ. ფოსტა: **tamuna-andriadze@yahoo.com**, **kmoist-srapishvili@gmail.com**
ვებგვერდი: **www.tcc.gov.ge**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

მისამართი: ქუთაისი. ნიუპორტის ქ. №32

ტელ (+995 231) 4 15 45

ვებგვერდი: **www. kutaisiapp.court.gov.ge**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მისამართი: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12

ტელ: (995 32) 27 31 00

ელ-ფოსტა: **council@hcoj.gov.ge**

ვებგვერდი: **www.hcoj.gov.ge**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

მისამართი: ბათუმი, კ. გამსახურდიას ქუჩა 8-10

ტელ: (+995 222) 7 00 99

ელ-ფოსტა: **const@constcourt.ge**

ვებგვერდი: **www.constcourt.ge**

ს ა რ ჩ ე ვ ი

სასამართლო პროცესების გაშუქება - - - - - - - - - - - - - - - - - 7-11

განსაკუთრებული ტიპის სამართალწარმოება - - - - - - - 11-14

სასამართლოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - - - - - 17-21

არასრულწლოვანთა იდენტიფიცირება აკრძალულია - - - 21-22

სასამართლოსთან ურთიერთობის წესი- - - - - - - - - - - - - 25-28

უდანაშაულობის პრეზუმფცია - 31-34

პროფესიონალური ჟურნალისტური სტანდარტები - - - - 34-36

სასამართლოში ქცევის წესები - - - - - - - - - - - - - - - - - - - 39-40

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და მედია- - - - - - - - - - - 43-46

საერთაშორისო პრაქტიკა - 47-50

საიდუმლო ინფორმაცია - 53-54

სასარგებლო ინფორმაცია - 57-70

კონტაქტები- 73-74